

საგრანტო განაცხადის წარდგენის წესი



## საგრანტო განაცხადის წარდგენის წესი

### I. ზოგადი დებულებები

ნიუ უნივერსიტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია საგრანტო პროექტის ინიცირება ადგილობრივ ან საერთაშორისო დონორთან წარსადგენად. ასევე გამონაკლის შემთხვევებში, უნივერსიტეტის სტუდენტსაც, თუ პროექტის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის ინტერესებს და ამართლებს პროექტში სტუდენტის ჩართულობას.

საგრანტო განაცხადის მომზადების პროცესში საჭიროა შემდეგი პროცედურების დაცვა:

1. აპლიკანტმა უნდა მოამზადოს საპროექტო წინადადების მოკლე აღწერა და სავარაუდო ბიუჯეტი (უნივერსიტეტის თანადაფინანსების მითითებით ასეთის საჭიროების შემთხვევაში) თანდართული ფორმების მიხედვით (იხ. დანართები 55\_1, 55\_2 და 55\_3) და წარუდგინოს სამეცნიერო-კვლევით სამსახურს საგრანტო კვლევითი კომიტეტის სხდომაზე განსახილველად. საგრანტო განაცხადის წარმოდგენასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები, რომლებსაც არ არეგულირებს წინამდებარე დოკუმენტი, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.
2. საგრანტო განაცხადის მიღება შესაძლებელია როგორც ელექტრონული სახით, ელ.ფოსტაზე - [info@acad.edu.ge](mailto:info@acad.edu.ge), ასევე ორიგინალი დოკუმენტების წარმოდგენით უნივერსიტეტის იურიდიულ მისამართზე: თბილისი, ქსნის ქ. N35, ოთახი 29.
3. საგრანტო განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნას პროექტის შეტანისთვის განსაზღვრული ვადის დადგომამდე ერთი თვით ადრე. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას არ მიიღოს და არ განიხილოს დაგვიანებით წარმოდგენილი საგრანტო განაცხადი.

### II. საგრანტო განაცხადი

საგრანტო განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ინფორმაცია საგრანტო კონკურსის განმცხადებელი (დონორი ორგანიზაცია) ორგანოსა და კონკურსში მონაწილეობის პირობების შესახებ (დანართი 55\_1)
- კონკურსის ბოლო ვადა
- პროექტის სახელი და პროექტის ხანგრძლივობა

- საპროექტო წინადადების მოკლე აღწერა (დანართი ნ5\_3)
- საერთო ბიუჯეტი და ბიუჯეტიდან ნიუ უნივერსიტეტის წილი (დანართი ნ\_3)
- თანადაფინანსება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ზედნაღები ხარჯი

### III. განცხადების განხილვის ვადა და გადაწყვეტილების მიღების წესი

უნივერსიტეტის საგრანტო-კვლევითი კომიტეტი, შემოსულ განცხადებას განიხილავს მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში;

იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესში მითითებულ პირობებს, მოხდება მისი განხილვა, შეფასება, დასკვნის მომზადება და რექტორისთვის წარდგენა დასამტკიცებლად.

განცხადების დაკმაყოფილებაზე, ან დაკმაყოფილების შესახებ უარზე, საბოლოო გადაწყვეტილებას, დასკვნის საფუძველზე, იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

დასაბუთებული გადაწყვეტილება საგრანტო განაცხადის შემომტანი პირს, განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე ეცნობება, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, განაცხადის შემომტანი პირი ვალდებულია, მას შემდეგ რაც იგი დაასრულებს პროექტზე მუშაობას, პროექტის საბოლოო ვარიანტი, წარუდგინოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით სამსახურს.